ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2024 წლის 31 იანვარი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.გ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დადგინდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ერთ კვადრატულ მეტრზე ნორმატიული ფასი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიის ზონირება დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის №6 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 26/01/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.113.016490).

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**

დანართი №1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი

მუხლი 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:
CN=IMG x ITL x C x K, სადაც:

1. CN – არის 1 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

2. IMG – არის ოზურგეთის მაკრომდებარეობის ინდექსი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,52 ლარს.

3. ITL – არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი:

ა) ქალაქის ცენტრალური ზონა - 1,3;

ბ) ქალაქის შუალედური ზონა - 1,0;

გ) ქალაქის პერიფერიული ზონა - 0,8.

4. C – არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1მ^2 დადგენილი წლიური გადასახადის საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.

5. K – არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის:

ა) ქალაქის ცენტრალური ზონისთვის 60-ს;

ბ) ქალაქი შუალედური ზონისთვის 35-ს;

გ) ქალაქის პერიფერიული ზონისთვის 30-ს.

მუხლი 2

ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს შემდეგი სახით:

№	ზონა	IMG	ITL	C	K	CN (ლარი)
1	ქალაქის ცენტრალური	0,52	1,3	0,24	60	9,734
2	ქალაქის შუალედური	0,52	1,0	0,24	35	4,368
3	ქალაქის პერიფერიული	0,52	0,8	0,24	30	2,995

მუხლი 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში 1მ^2 მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრება ქალაქ ოზურგეთის შუალედური ზონისათვის დადგენილი მაჩვენებლის 30%-ის ოდენობით და შეადგენს 1,31 ლარს, ხოლო დაბისათვის ქალაქ ოზურგეთის შუალედური ზონისათვის დადგენილი მაჩვენებლის 50% და შეადგენს 2,184 ლარს.

მუხლი 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში 1მ^2 მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრება ქალაქ ოზურგეთის შუალედური ზონისათვის დადგენილი მაჩვენებლის 25%-ის ოდენობით და შეადგენს 1,092 ლარს.

მუხლი 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში თითოეულ მხარეს არსებული მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრება ქალაქ ოზურგეთის შუალედური ზონისთვის დადგენილი მაჩვენებლის 50%-ის ოდენობით. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-3 და მე-4 მუხლებით დადგენილი ფასები.

მუხლი 6

„ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის №273 დადგენილებით განსაზღვრული სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრება ქალაქ ოზურგეთის შეუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 6-მაგი ოდენობით და შეადგენს 26,208 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-3 მუხლში აღნიშნული წესი.

დანართი №2

ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიის ზონირება

I (ცენტრალური) ზონა ქუჩების მიხედვით	ლოკალური ტერიტორიული ინდექსი I_{TL}
დ. გურამიშვილის ქუჩის ორთავე მხარე (რკინიგზის ხაზამდე); რკინიგზის ხაზის მარცხენა მხარე ლალიონის ქუჩამდე; ლალიონის ქუჩა მ. კოსტავას ქუჩის კვეთამდე; მ. კოსატავას ქუჩიდან ა. წერეთლის ქუჩის კვეთამდე (მ. კოსტავს №2 და №4 ჩათვლით); ა. წერეთლის ქუჩა თ. სახოკიას ქუჩის კვეთამდე; ა. წერეთლისა და თ. სახოკიას ქუჩების კვეთიდან გურიის ქუჩამდე; გურიის ქუჩა ალ. გრიბოედოვის ქუჩის კვეთამდე; ალ. გრიბოედოვის ქუჩიდან ა. ერქომაიშვილის ქუჩამდე; ა. ერქომაიშვილის ქუჩიდან ზ. ქობულაძის ქუჩის ჩათვლით, ალ. ყაზბეგის ქუჩის დასაწყისამდე. ზ. ქობულაძის ქუჩიდან ე. თაყაიშვილის ქუჩამდე; ე. თაყაიშვილის ქუჩიდან ა. წულაძის ქუჩამდე; ა. წულაძის ქუჩიდან ე. ნინოშვილის ქუჩისა და ა. ჟორჟოლიანის ქუჩის კვეთამდე (მოიცავს N1 საჯარო სკოლას, N2 საბავშვო ბაღის, საავადმყოფო „ავერსისა“ და ე. ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე პარკის ტერიტორიას); ე. ნინოშვილის ქუჩიდან დ. აღმაშენებლის ქუჩამდე; დ. აღმაშენებლის ქუჩიდან დ, გურამიშვილის ქუჩის კვეთამდე. - ცენტრალურ ზონას განეკუთვნება შესაბამისი კონტურის ფარგლებში მოქცეული ტერიტორია.	1,3
II (შუალედური) ზონა ქუჩების მიხედვით	**ლოკალური ტერიტორიული ინდექსი I_{TL}**
ე. თაყაიშვილის ქუჩა (მდ. ბჟუჟის ხიდიდან უნივერსიტეტის ქუჩის კვეთამდე, შ.პ.ს. გზამშენი 18-ის, ყოფილი მანქანათმშენებელი და პურის ქარხნების მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით); ალ. ჟორჟოლიანის ქუჩიდან ს. ესაძის ქუჩის კვეთამდე; ს. ესაძის ქუჩა ლ. მალაზონიას ქუჩამდე; ლ. მალაზონიას და დ. ბაქრაძის ქუჩამდე; დ. ბაქრაძის ქუჩა თავისუფლების ქუჩამდე; თავისუფლების ქუჩა დ. აღმაშენებლის ქუჩამდე; დ. აღმაშენებლის ქუჩიდან ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ქუჩამდე; ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს რკინიგზის ხაზამდე; რკინიგზის ხაზის გასწვრივ ივ. ჯავახიშვილის ქუჩამდე;	

ივ. ჯავახიშვილის ქუჩიდან ი. შემოქმედელის ქუჩის კვეთამდე; ი. შემოქმედელის ქუჩიდან კ. ლესელიძის ქუჩის კვეთამდე; კ. ლესელიძის ქუჩა ნ. დუმბაძის ქუჩის კვეთამდე; ნ. დუმბაძის ქუჩა, გ. გოგიტაძის ქუჩა ზ. დამენიას ქუჩის კვეთამდე; ზ. დამენიას ქუჩა ნ. ბარათაშვილის ქუჩის კვეთამდე; ნ. ბარათაშვილის ქუჩა ა. ჯორჯიაშვილის ქუჩამდე; ა. ჯორჯიაშვილის ქუჩა ა. ჯორჯიაშვილის ქუჩის I ჩიხამდე; ა. ჯორჯიაშვილის ქუჩის I ჩიხიდან ა. ერქომაიშვილის ქუჩის კვეთამდე; ა. ერქომაიშვილის ქუჩა ალ. გრიბოედოვის ქუჩის კვეთამდე. - შუალედურ ზონას განეკუთვნება ცენტრალური ზონის კონტურს გარეთ და შუალედური ზონის კონტურს შორის მდებარე ტერიტორია.	1,0
III (პერიფერიული) ზონა ქუჩების მიხედვით	**ლოკალური ტერიტორიული ინდექსი I_{TL}**
ქალაქ ოზურგეთის შუალედური ზონის კონტურის ფარგლებს გარეთა ტერიტორია	0,8